რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართეენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.
ადრესი
Тифлисъ, Фрейлинская № 13
редакція „Цнобисъ Пурцели“.

## მიიღება ხელის მოწერა დამდეგის 1897 წლისათვის

ვინც ამ თავითვე წლიურად გამოიწერს, მას გაზეთი იანვრამდე მუქთად მიუვა. მიუვა აგრეთვე მუქთად საქართველოს კალენდარი 1897 წლისა.

**წლიური ფასი ექვსი მანათი.**

თამბაქოს ქარხანა
**ნ. ბოზარჯიანცისა**
ტფილისში
არსებობს 1858 წლიდან
მაღაზია და საწყობი იმყოფება სასახლის ქუჩ., სათავ.-აზნ. ქარვასლაში.
ჩვენის ქარხნის თამბაქოს ნაწარმოებნი დაჯილდოებულ არიან რუსეთის თუ საზღვარ-გარეთის ყველა მსოფლიო გამოფენებზე.
მსურველთათვის მუდმივ იყიდება მაღაზიაში **ნამდვილი ოსმალური და ადგილობრივი თამბაქო.**
დიდი ხნის არსებობა და გამოცდილება ჩვენის ქარხნისა სრულს საშუალებას გვაძლევს დავაკმაყოფილოთ ყოველი მყიდველი კარგის და სასიამოვნო მოსაწევი თამბაქოთი.
მყიდველთა ყურადღებას მივაქცევთ ჩვენის ქარხნის თამბაქოზე, რომელიც გირვანქა 1 მან. 52 კაპ. ღირს და სხვა ქარხნებში-კი იმავე ღირსების თამბაქო ღირს 3 მან. აგრეთვე ჩვენი ქარხნის პაპიროსები სამ აბაზიანი ასი ცალი შეადარეთ სხვა ქარხნების მანათიან პაპიროსებს.
საუკეთესო ოსმალური თამბაქო ღირს 4 მ.
ქალაქ გარეშე მცხოვრებთა შეკვეთას ვასრულებთ სწრაფად და სინიდისიერად.
მუდმავ მყიდველებს შესაფერს სარგებელს ვუკლებთ.
ქალაქ გარეშე მცხოვრებნი თუ 5 მან. ღირებულ თამბაქოს გამოიწერენ, მაღაზია გაგზავნის ხარჯს თვითონ კისრულობს.
პატივისცემით ნ. ბოზარჯიანცი.
(3—1 ფ.)

### რედაქციისაგან

ხელ-ახლად ვაუწყებთ იმ ახალ ხელის-მომწერთა, რომელნიც გვისაყვედურებენ, შიგა და შიგ თითოოროლა ნომრები დაგვაკლდათო, რომ „ცნობის ფურცელი“, თუმცა ამ ჟამად 2200 ეგზემპლიარი იბეჭდება, მაგრამ ცალკე ნომრების გაყიდვის გამო, ზოგი ნომრები რედაქციას სრულებით არ მოეპოვება და ამიტომ თავისდა უნებურად ვერ აკმაყოფილებს ახალ ხელის-მომწერლებს.

შემდეგისათვის რედაქცია, რომ თავიდამ აიცილოს საყვედური და თვით ხელის მომწერთაც მიუვიდეთ ხვედრი ნომრები, უმორჩილესად სთხოვს ყველას, **დროისით შეატყობინონ რედაქციას გაზეთის დაკვეთის სურვილი**, რათა რედაქციამ, ხელის მომწერთა რაოდენობის მიხედვით, დაიჭიროს ანგარიში და დაბეჭდოს სამყოფი რიცხვი გაზეთისა.

ქართული თეატრი
1896 წ. ოთხშაბათს 4 დეკემბერს,
ბენეფისი ნ. გაბუნია ცაგარლისა
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ საფაროვი-აბაშიძისა, ავალიშვილისა და ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება

**ორი ობოლი**

დრ. 5 მოქმედ. თარგ. ა. ცაგარლისა, მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. საფაროვი-აბაშიძისა, ავალიშვილისა, კარგარეთლისა, ივანიძე, კუნდელი, საყვარელიძე და სხვ. ბბ. ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, გამყრელიძე, შათირიშვილი, მარჯანიშვილი, კანდელაკი, თამაზოვი და სხვა.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე
რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.
ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.
ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.
ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.
ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:
ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.
ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.
ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შ არდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

სამკურნალო და ამბულატორია
**ს. ბ. თოფურიასი**
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.**
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**პ. ქ. ბერრატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კობანი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
ამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**
(წ.)

გამოვიდა ახალი წიგნი
**მთიულეთი 1804 წ.**
ა. ფრონელისა.
**ფასი 70 კ.**
ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში.
წმინდა შემოსავალი გადადებულია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ. (15—1)

ახლად გამოვიდა და ისყიდება
**ფაბიოლა**
ანუ წინანდელი ქრისტიანები
გამოცემა უდაბურ წყალწმიდის მმობისა,
თარგმანი ა. ნიკიტინისა.
წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.
ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შუღაროვთან. (3—1)

Вышла изъ печати и продается новая книга:
**ЭСКИЗЫ И ЭТЮДЫ**
Ил. Хонели (И. Л. Бахтадзе).
Содержаніе: Отъ автора.—„Доглаури“.—Быль—Какъ „въ старину живали дѣды“.— Князь-отщепенецъ. — Рамхотъ.— Горе Исаіи.—Въ мірѣ фантазіи.—Легенда о Гандегили. — Амцуха-леки.— Смерть.— Сновидецъ.—Дервишъ.—Имеретинскій катеръ.—На цѣпи.—Кулисъ-карскій кюре.— Спасенная святыня.
**ЦѢНА 1 РУБЛЬ.**
Съ требованіями обращаться: въ контору редакціи „Кавказа“, въ канцелярію „Общества

распространенія грамотности среди грузинъ“, а также въ книжный магазинъ г. Бѣгичева.

Въ Кутаисѣ изданіе продается въ книжныхъ магазинахъ гг. Чиладзе и Церетели.

Печатается и скоро выйдетъ въ свѣтъ брошюра того-же автора: „Къ 100-лѣтію Крцанисской битвы“.

Содержаніе:—Къ 100-лѣтію Крцанисской битвы—Знамя Азатъ-Хана.—Герой Аспиндзи предъ судомъ „Хечагога“.

**цѣна 30 коп.**

# ახალი ამბავი

*** **საჩუქარი ფელიქს ფორისა.** საფრანგეთის პრეზიდენტს განზრახვა აქვს საშობაოდ გაუგზავნოს ხელმწიფე იმპერატორს და იმპერატრიცას მშვენიერი ალბომი. ალბომში მოთავსებულ იქმნება სურათები პარიზში გამართულ დღესასწაულებისა, როდესაც მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი იქა ბრძანდებოდნენ. გარდა სურათებისა ალბომში იქმნება ავტოგრაფები მწერალთა, რომელთაც წაიკითხეს თავიანთი თხზულება წინაშე იმპერატორისა და აგრეთვე ზოგიერთ არტისტებისა—სხვათა შორის, იქმნება ავტოგრაფები: ლულიპრუდომისა, ფრანსუა კოპესი, გერალიასი, ჟულ-კლარეტის, რეიერის, ვორმსის, კოკლენის, მუნესიულის, პოლ მუნესი, სარა ბერნარისა, რეჟინისა და სხვ.

ასეთი ალბომი მარტო ორი გაკეთდება, ერთი მათ იმპერატორებით უდიდებულესობათათვის და ერთიც საფრანგეთის პრეზიდენტისთვის.

*** **ტფილისის პოლიცმეისტერი** მასტიცკი მოვიდა რუსეთიდგან და შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას.

*** **ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა.** წელს მრავალი იყო სკოლაში შესვლის მსურველი. თხოვნა მიუციათ 215; მიუღიათ 108 მოწაფე. ამავე წელს სკოლას მოუმატეს მეხუთე კლასი. სულ სწავლობს 410 მოწაფე. ახალ მასწავლებლებად მიიწვიეს: ბ-ნი პ. ა. კუმსკი—რუსულის ენისა და მოსამზადებელ კლასების მასწავლებლებად—პ. მ. კორხანიძე და პ. რ. სურგულაძე.

გარდა ამისა პანსიონის ზედამხედველებად მიიწვიეს სამი კაცი—ნ. თ. ბერიშვილი, თავ ნ. დ. ჯავახიშვილი და ზ. მ. ცხვედაძე.

საზოგადოდ, ეხლა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის საქმე უფრო კარგად არის, ვიდრე აქამდე იყო და შესაძლებელია, ოდესმე გიმნაზიად გადიქცეს.

*** **ბათომში გადამწვარ ქარხნების** პატრონებმა განაცხადეს: გრამატიკოპულომ—75,000 მანათი ვიზარალეო, შახბაზოვმა—60,000 მანათიო.

*** **რკინის გზის მიმოსვლის შეცვლა.** მომავალ წლის გაზაფხულიდგან რუსეთის ყველა რკინის გზებზედ სრულიად შეიცვლება მიმოსვლა. სახალხო მატარებლებს სისწრაფე მოემატებათ და საქონლის მატარებლებიც უფრო ჩქარა ივლის, ვიდრე ეხლა დადის.

*** **ამინდი ტფილისში:** ტფილისში კარგი ამინდებია; თოვლი დადნა და ქუჩები გაშრა.

*** **ცეცხლის წაკიდება.** 1 დეკემბერს, ნაშუადღევის 1 საათზედ, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, რკინის გზის მმართველობის ახლოს ცეცხლი წაეკიდა ბაგრატ გორეცელოვის შენობას. ცეცხლი მქრობელ რაზმმა ჩააქრო. ზარალი 3000 მანათამდეა. ფიქრობენ, რომ ცეცხლი განგებ იყო წაკიდებული. სახლს ჯერ არც სახურავი ჰქონდა, არც კარ-ფანჯარა და არც იატაკი. შენობა დაზღვეულია 15,000 მანათად. გამოძიება სწარმოებს. აღმოჩნდა, რომ შენობაში ღუმელები ყოფილა ანთებული.

*** **მკვლელობა.** 30 ნოემბერს, საღამოს 5 საათზედ, პანასევიჩის ქუჩაზე, ბერიევის სახლში, თავ. ლ. ს. გურამიშვილმა ჩხუბის დროს ისე ძლიერა სცემა თავის ცოლის დას ე. პ. ბრუევიჩისას, რომ ქალი მის სახლშივე გარდაიცვალა.

*** **ახალი დანიშვნა ტფილისის პოლიციაში.** ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ტფილისის საპოლიციო პირველ ნაწილის ბოქაულის თანაშემწეს თანამდებობაზე წარუდგენიათ ფოთის ბოქაული დიმიტრი წულუკიძე.

*** **სპარსეთის ელჩი.** ტფილისში მირზა-იბრაჰიმ ხანი, რომელიც ამას წინად თეირანში წავიდა სხვა-და-სხვა საქმეთა გამო, როგორც ნამდვილად შევიტყეთ, უკან აღარ დაბრუნდება. ამბობენ, მის ალაგას დანიშნულ იქნება ფაშა-ხან ერივანისა, რომელიც ეხლა ტფილისშია და ადგილობრივს მაღალ საზოგადოებაც კარგად იცნობს.

*** **ქუთაისი:** ქუთათურების სალაპარაკო ამ ჟამად გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი ამბავია თ. წ—ლის ქალის მოტაცების შესახებ. მოტაცებულ ქალის დედ-მამამ მიჰმართეს უმაღლესს ადმინისტრაციას, რომელმაც ყოველ მხარეს გაჰგზავნა დეპეშები და უბრძანა მაზრის უფროსებს, ყოველ-გვარი სასტიკი ღონისძიებანი მიიღეთ და მოტაცებული ქალი მონახეთ სადმეო. ზუგდიდის მაზრის უფროსი დეპეშითვე ატყობინებს თურმე გუბერნატორს, რომ ახალი ტარიელ და ნესტან დარეჯანი ამ ჟამად სამეგრელოში იმყოფებიან, ზუგდიდის მაზრის სოფ. ხეთაში.

*** ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებულ იყო, რომ ერთმა დალაქმა თავი მოიწამლა და გარდაიცვალაო.

განსვენებული მეტად ღარიბი იყო, დასამარხიც კი არ დარჩა.

კიდევ კარგი, რომ ქვეყანაზედ კეთილი ხალხი ჯერ კიდევ მოიპოვება. დალაქების ამქრის უფროსმა ბ-ნ ივანე მხეიძემ დიდი გულ-მტკივნეულობა გამოიჩინა; დაიარა მთელი ამქარი, მოაგროვა ფული და იკისრა წესიერად დასაფლავება მიცვალებულისა, რომელიც სიღარიბემ იქამდინ მიიყვანა, რომ წუთი სოფელს გამოასალმა.

*** **თელავი:** ქალაქის სტაროსტათ ხელმეორედ აირჩიეს მ. გ. თათუზოვი და მის თანაშემწეთ—ა. ა. ტერ-სარქისოვი. ჯამაგირები დაენიშნათ: სტაროსტას—1,200 მანათი წელიწადში და მის თანაშემწეს—600 მანათი.

*** **თიანეთი:** მთელს მაზრაში წელს ნაკლებია მოსავალი პურისა და ღვინის. ამ მოუსავლობამ ისე დააზარალა მცხოვრებნი, რომ სახელმწიფო გარდასახადის გაცემაც უჭირთ.

ამ მიზეზისა გამო წელს სახელმწიფო ხარჯს ნაკლებად შეაწერენ ჩვენს მაზრას და ეს რა თქმა უნდა, დიდს შეღავათს მისცემს გაჭირვებულ ხალხს.

*** **ახალი აზრი მეგრულ ენაზე.** პროფესსორი შუხარდი, რომელმაც დიდი ხანია ქართულ ენის შესწავლას მიჰყო ხელი, ამ ჟამათ აპირებს ვენაში ქართულ ენის რუკის გამოცემას განმარტებით. პრ. შუხარდის აზრით, მეგრული და სვანური ისეთივე განსაკუთრებული ენებია, როგორც ქართული. ეს აზრი მას დაუფუძნებია იმაზე, რომ ახალი მეცნიერება არავითარ გარჩევას არ ცნობს დიალექტსა და ენას შორის. შუხარდის აზრით სვანური და მეგრული ენა შეიძლება უფრო ძველიც იყოს ქართულზე. მის აზრით განუვითარებელ ენაში უფრო ხშირათ იხმარება ხოლმე ხმოვანი ასოები, რადგან განუვითარებელ ხალხს უხმო ასოების გამოთქმა ეძნელება; შემდეგ, რავდენათაც ხალხის კულტურა წინ მიდის, იმდენათ ხმოვანი ასოების ხმარება კლებულობს, მცირდება, რადგან სამეტყველო ორგანო ხალხისა ვითარდება და უხმო ასოების გამოთქმა აღარ ეძნელებათ.

საქართველოს ერთი ნაწილი წინწასულა კულტურის გზაზე და განვითარებულა ენაც, რომელსაც დღეს ქართული ეწოდება. სამეგრელო სვანეთი კი უკან ჩამორჩენილა და მათი ენის წარმატება შეჩერებულა.

თუმცა ქართული, მეგრული და სვანური ყველა ერთი ძირისგან არიან წარმომდგარნი და ერთს ჯგუფს ეკუთვნიან, მაგრამ მეცნიერება მაინც ვერ არევს მათ ერთმანეთში.

ის აზრი, რომ მეგრული დამახინჯებული ქართული იყოს, შემცდარი და უსაფუძლოა. ასეთი შეხედულობისა იყვენ გერმანიაში ამ ორმოცდაათი წლის წინეთ, ე. ი. მაშინ, როცა ენათა მეცნიერება არ არსებობდა. დღეს კი მეცნიერებისაგან ცნობილია, რომ ერთი ენა მეორე ენის გადამახინჯებ-შეცვლით არ წარმოდგება („კვალი“).

*** **ქალაქის აგენტები.** ამ დღეებში ქალაქის გამგეობას წარუდგინა თავისი მოხსენება კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა შედგენა ახალის წესისა ქალაქის შემოსავლის მოკრების შესახებ და აგრეთვე ვაჭრობის ზედამხედველობისა. ორსავე ამ მოვალეობას აქამომდე ასრულებს ერთი დაწესებულება, რომელსაც ჰქვიან ქალაქის სავაჭრო და სამეურნეო პოლიცია. იგი შესდგება უფროსის აგენტისაგან, რომელსაც ექვემდებარება ექვსი აგენტი, ექვსი თანაშემწე მათი და ორმოცამდე გზირი. ეს პოლიცია გამგეობას უჯდება წელიწადში ორი ათას ასი თუმანი. საბჭომ დაადგინა, რომ სამეურნეო პოლიცია უნდა ცალკე დაწესებულებას შეადგენდეს და სავაჭრო ცალკესაო, და მიანდო კერძო კომისიას შედგენა გეგმისა, თუ რამდენი მოხელე დასჭირდება ამ განცალკევებულ დაწესებულებებს და რა ხარჯი მოუნდება. კომისია თავის მოხსენებაში ამბობს, რომ სამეურნეო პოლიციისთვის საკმარისია შვიდი აგენტი და 19 გზირიო, ხოლო სავაჭრო პოლიციისთვის საჭიროა ერთი უფროსი აგენტი, თერთმეტი უმცროსი აგენტი, ორი ცხენოსანი თანაშემწე და ერთიც გზირიო. პირველ დაწესებულებას ექვემდებარება მთელი შემოსავალი ქალაქისა, ხოლო მეორეს ვაჭრობის გაწესიერება. ამასთანავე სავაჭრო პოლიციას თვალ-ყური უნდა ეჭიროს ქუჩებისა და მოედნების კეთილ განწყობილებაზედ. ამ ორთავ დაწესებულებას, კომისიის ანგარიშით, დასჭირდება სულ 22.700 მანათი. ეს მოხსენება განხილულ იქმნება საბჭოს მიერ ამ მოკლე დროში.

*** **ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე დაამტკიცა წესდება „ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოებისა“.

*** **თელავიდგან იწერებიან:** „ჩვენი ქალაქის სასაკლაო უფრო რაღაც ბინძურობის ორმოსა ჰგავს, ვიდრე სასაკლაოს. სასაკლაო უბრალო ფარდულშია; მოწყობილი არ არის.

ნიადაგი სისხლით არის გაჟღენთილი. საკლავის შიგნეულობა იქვე ჰყრია და ჰაერს აფუჰებს. ხორცი ნაგვის ურმებით დააქვთ“.

⁂ **ს. ასკანა (გურია) 29 ნოემბერი.** წლევანდელი წელიწადი გასულ წელთან შედარებით, საზოგადოდ გურიაში და მეტადრე ასკანაში, მოსავლიანი არის, თუმცა ასკანაში სიმინდი ყოველგან არ მოდის საკმაოდ, მაგრამ ამის მიზეზი მიწის უქონლობაა. (აქ საზოგადოდ გლეხებს ძალიან ცოტა მიწები აქვთ). სამაგიეროდ ოდესის ყურძენი ძალიან კარგი იყო და საუკეთესო ხარისხის ღვინოებიც დადგა: საუბედუროდ თოვლმა მოგვისწრო და ზოგ ადგილას—მოუკრეფი დარჩა, მაგრამ დაკრეფის და შენახვის იმედი იმ დანარჩენი ყურძნისაც გვაქვს. აქა იქ ჩხავერსაც ასხია, ეს უკანასკნელი კი თითქმის დაუკრეფავია, რადგან დროზედ ვერ დამწიფდა.—ჩხავერს თოვლი დიდს ვერას დააკლებს და იმედიც არის ცოტაოდენ ღვინოს დავაყენებთ.—მართლაც კარგს იზამდა გურიის სავაჭრო ამხანაგობის „შუამავლის» გამგეობა (იხ. „ცნობის ფურცელი“ № 34 ა. მიქელაიშვილის წერილი.), თუმცა ვაშლის გატანის დრო გაუშვა ამ ამხანაგობამ (ეხლა თითქმის სულ გაზიდულია და თუ სადმე მოიპოვება თითო ოროლა ფუთი, ეს არც იმდენ თანხას ტეადგენს). მაგრამ ოდესის ღვინის მოსავალი მართლაც სამაგალითოა და ეს ხომ ჯერ არავის გაუტანია და აუარებელი იშოვება, რომ ამ საქმეს ამ თავიდგანვე შეუდგებოდეს და იყიდდეს ღვინოებს (ფუთი საუკეთესო ხარისხის 60—80 კაპ. ადგილობრივ). მისთვის ეხლა ამხანაგობას, ჩემის აზრით, დროც, მოცალეობაც და თანხაც აქვს. (პარკი გაყიდულია და ეს ფული რატომ უნდა გავაჩეროთ უქმად, სანამ თესლს გამოვიწერდეთ, ან პარკის ყიდვას შეუდგებოდეთ?), შეიძლება ამხანაგობის გამგეობა უკეთეს რამესაც ფიქრობდეს, მაგრამ ეს იმას მიემსგავსება: „მეფე გულში მღეროდა, ყმებო ბანი მითხარითო», ჩვენ ამხანაგობის ანგარიშისა ჯერ ჯერობით არა რა ვიცით და, ჩვენის აზრით, ეხლა ამ დროებით ღვინის გატანაზე მიუთითებთ, ვინაიდგან წელს ღვინის მოთხოვნილება ბევრია და თან მოსავალიც კარგია. ამხანაგობის გამგეობა გვეტყვის: „ღვინის გამოცნობა-მოვლა-ყიდვა-გაყიდვას მცოდნე კაცები უნდაო. არც მაგისათვის წავალთ შორს. ს. ასკანაში არიან იალტაში სწავლა დასრულებული ყმაწვილები: აქსენტი ჩხაიძე და მიხეილ ახალაძე; ჩემის აზრით ეს პატივ-ცემულნი ხელს გაუმართვენ ამხანაგობამ ამ საქმეში, როგორც მცოდნე პირნი.—საუკეთესო ღვინეობის შეძენა შეიძლება ს. ასკანაში, მეწიეთში, ვაკის-ჯვარში, ციხეში, შემოქმედში და ლიხაურში. გასულს წელში კარგი ოდესის ღვინო ს. ასკანაშიაც გაიყიდა ფუთი ორ მანათად.

(ამხანაგთაგანი).

⁂ **ქსნის ხეობა.** უეცრად მოსულმა ზამთარმა თავისებური მეხი შემოიტანა: შიგა და შიგ სოფლებში გაჩნდა ყივანა ხველა და ბევრ მოსახლეს დაატკეპნინა სოფლის ბილიკები ექიმთან რბენით; სოფლის ქუჩებზედ ავათმყოფნი და მოჩანან, რომელთა შორის ზოგს, ნამყენივით ყელი აუხვევია და ზოგს ყბა. იმათ ჭირისაგან ქანც გამოცლილ საქონელივით, გააქვთ ლასლასი გზებზედ და დრო გამოშვებით კვნესა, ტირილი და საყოველთაო ჩივილი სხვა-და-სხვა ავადმყოფლობაზედ. კიდევ კარგი, რომ ღმერთმა მოწყალე თვალით შემოგვხედა და ჩვენი სისხლის კაცი იქმნა ექიმად დანიშნული, რომელიც სამშობლო ენის საშუალებით ყველას მკაფიოდ გვიხსნის და გვაგებინებს, თორემ აქამდე სამარის თხრას ვერ აუვიდოდა ხალხი; ოღონდ ხმა ვინმე მიაწვდინოს ბ-ნ ბროძელს,—იგი ასი ვერსის მანძილზედაც კი არავის დაზარდება და, შეძლების დაგვარად, შველასა და შემწეობას აღმოუჩენს. მაგრამ ერთი კაცი რას იზამს ამოდენა ხალხში. სად ან როგორ გაწვდეს. კარგი იქმნება, რომ ამდენ სოფლებსა და ხალხში კიდევ ერთი ექიმი დაინიშნებოდეს, მაშინ ხალხის ჯანმრთელობა უფრო რიგიან დონეზე იქნებოდა ჩაყენებული.

⁂ ჩვენ მივიღეთ ბ-ნ საამ შაბურიშვილისაგან შემდეგი წერილი:

„ამას წინათ გაზეთ „ცნობის ფურცელ“-ში დაბეჭდილ იყო ბ-ნ დავით კეზელის წერილი აზნაურ ბარამ შაბურიშვილის მოკვლის თაობაზედ სოფ. საშაბუროში.

ამ წერილს რომ დავერწმუნოთ, მოკლული შაბურიშვილი მსხვერპლი ყოფილა თავისივე და სხვა შაბურიშვილების ავაზაკობისა კეზელის წინაამდეგ და დავით კეზელი-კი მხოლოდ თავის თავს იცავდა“.

„თავის დაცვისათვის კაცის გაწირვა იშვიათი არ არის. და ბ-ნ დავით კეზელისთანა დახელოვნებულმა და წინდახედულმა ადვოკატმაც რომ ამ საბუთს მიმართოს, აქ გასაკვირალი არა არის რა. ვინ ვის დაესხა თავსა და ვის ვისგან უჭირდა თავის თავის დაცვა ამას პირუთვნელი გამოძიება აღმოაჩენს. ხოლო ეხლა ერთი ესა ვკითხოთ ბ-ნ დავით კეზელს: ნუ თუ მოკვლა საკმარისი არ იყო ბარამ შაბურიშვილისათვის, რომ მისთვის ავაზაკობაც არ შეეწამა ბ-ნ დავით კეზელს და ჩირქიც არ მოეცხო მიცვალებულის სახელისათვის“?

„რისთვის დაეცნენ თავს ბ-ნ კეზელს შაბურიშვილები და ფავლენიშვილები? რას აგულებდნენ, რა უნდა წაერთოთ. ღორები გარეკესო, ბრძანებს ბ-ნი კეზელი. დიაღ, გარეკეს, მაგრამ ამისათვის თავს დასხმა და ძალადობა აზრადაც არავის მოსვლია: ორმოცი ღორი გარეკესო, ბრძანებს; ორმოცი კი არა, სულ ოთხი ღორი გამორეკეს კეზელის ფარიდან ისევე საბალახოს ანგარიშში, იმავე დროს აიღეს საბალახოს ღორი სხვებისაგან უფრო მეტიცა, მაგრამ ამისთვის არც კაცი ვისმეს მოუკლავს და არც ვისთვისმე ავაზაკობა დაუბრალებია. საბალახოს ღორები მოკრიბეს დღე, როცა თვითონ ბ-ნი კეზელი შინ არა ბრძანდებოდა. რა შუაშია აქ ან თავის თავის დაცვა ან თავს დასხმა; ეს ღორები გაიყვეს საღამოზედ დათიკო შაბურიშვილის სახლში, ზოგი ფეხად და რის გაყოფაც ფეხად არ შეიძლებოდა, დახოცეს და ისე გაიყვეს ხორცი. ღამე ვახშმის შემდეგ, როდესაც ამ ხორცით დატვირთული შაბურიშვილები სრულიად უიარაღოები გაემგზავრნენ სოფელ საშაბუროდან თავიანთ სოფელ ბაგასაკენ, გზა გზა ბ-ნ კეზელის საბძელთან უნდა გაევლოთ; მიუახლოვდნენ თუ არა შაბურიშვილები ამ საბძელს,—აქ ჩასაფრებულიყვნენ ხუთი თუ ექვსი ბიჭი,—უცებ საფარიდან გადმოუხტნენ და დაუწყეს თოფების სროლა: შაბურიშვილებმა უშველეს თავს გაქცევით; გაქცევითვე უშველიდა თავს ბარამიცა, რომ თან არა ჰყოლიყო თავისი თორმეტის წლის ერთად ერთი ვაჟი, შაბურიშვილები რომ თავს დასასხმელად სადმე წასულიყვნენ, ეჭვი არაა, რომ არც თორმეტი წლის შავშეს წაიყვანდენ თანა და არც ზურგზე ღორის ხორცს აიკიდებდნენ. რაც შეეხება ფავლენიშვილების მონაწილეობას ამ ვითომ და თავს დასხმაში, ესეც ძალიან მოხერხებული ტყუილია. ფავლენიშვილები ძალა უნებური მოწმები იყვნენ ბატონ დავით კეზელის ამ საგმირო საქმეთა და აბა მათი მოწმობა სხვით რით უნდა გაამართლოს, თუ იმათაც ავაზაკობა არ შესწამა?

ვნახოთ, მართლ-მსაჯულება როგორ შეჰხედავს ამ საქმესა, ეს კი აშკარაა, რომ კოკა წყლის გზაზე უნდა გატყდეს.

„ვთხოვ რუსულ გაზეთებს, რომლებშიაც ბ. კეზელის წერილი იყო დაბეჭდილი, გადაბეჭდონ ეს წერილიც.

⁂ **წერილები ნაპოლეონ პირველისა.** რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ როსტოვში (დონისა) იქაურ წიგნის მაღაზიის პატრონს რომანოვიჩს უპოვნია წერილები ნაპოლეონ პირველისა, სხვა-და-სხვა კაცებთან მიწერილი.

⁂ **მოსკოვი:** პარასკევს, 22 ნოემბერს, ღამის ათ საათზედ ერთბაშად ცეცხლი მოეკიდა რკინის გზის სადგურს (ნიკოლოზის ვოგზალი) რადგანაც 10 საათ. და 10 წ. მოსკოვიდან უნდა გასულიყო მატარებელი № 2, სადგურში ბევრი მგზავრი იყო და საშინელი ალიაქოთი და არეულობა მოხდა. ცეცხლის გამქრობმა კამანდებმა ცოტათი დაიგვიანეს და ცეცხლი გაძლიერდა. ღამის 12 საათს ნიკოლოზის სადგურს გარშემო საშინელი ალი იყო. თუმცა ხალხი ძალიან ბევრი შეგროვდა და გამქრობი კამანდები მარჯვეთ შეუდგნენ ცეცხლის გაქრობას, მაგრამ ცეცხლი განთიადამ'დის ძლივსღა გააქრეს. ნიკოლოზის მშვენიერი სადგური ძალიან დაზარალდა. დროებით ხალხი მეორე მხარეს გამართეს.

## თეატრის მატიანე.

დიდმა ჰერცოგმა ჰესენისამ დარმშტატის თეატრში ოპერის „კარმენის“ წარმოდგენის დროს თავისის ხელით უბოძა ქ-ნს სიგვრიდ არნოლდსონს ძვირფასი ოქროს მედალი, რომელსაც ძლიერ იშვიათად აძლევენ ვისმეს.

## სასამართლოს მატიანე.

**საჩივარი.** კიშინევში ერთს სახლს ცეცხლი მოეკიდა. მაშინვე ცეცხლის მქრობელ რაზმს შეატყობინეს, მაგრამ მთელი საათ-ნახევარი გავიდა, ვიდრე ეს რაზმი მივიდოდა და ამ დროს რამოდენიმე სახლი სულ ერთიანად გადიბუგა. ერთმა დაზარალებულმა სახლის პატრონმა იჩივლა სასამართლოში და სთხოვა, რაც ვიზარალე, გადაახდევინეთ ცეცხლის მქრობელ რაზმის უფროსს, რადგანაც იმას რომ თავის მოვალეობა აესრულებინა და დამხმარებიყო, ეს ზარალი არ მომივიდოდაო.

იურისტები ამბობენ, მომჩივანი საქმეს მოიგებსო.

**ახირებული და მომჩივარი მოპასუხე.** გუშინ-წინ, 30 ნოემბერს, ტფილისის ერთს მომრიგებელ მოსამართლესთან ერთი საქმე ირჩეოდა.

მოსამართლემ ჰკითხა მოპასუხეს: ფული რომ გმართებთ ამ კაცისა, რატომ არ აძლევთ?

მოპასუხე: იმიტომ, ბატონო მოსამართლევ, რომ მაგ კაცს კარგად ვიცნობ, რა შვილიც არის, მე ვთხოვ, ჯერ ხელი მომიწეროს, რომ ფული მიიღო და მერე ფულს მივცემ. თორემ, თუ ჯერ ფული მივეცი, ეგ ხელს აღარ მომიწერსო და მერე ხელმეორედ გადამახდევინებს.

მოსამართლე (მომჩივარს) მერე თქვენ რატომ ხელს არ აწერთ?

მომჩივარი: იმიტომ, ბ-ნო ამოს-

მართლევ, რომ მაგ კაცს კარგად ვიცნობ, რა შვილიც არის; მე როც ხელი მოვაწერო ფულის მიღებისა, მერე ეგ ფულს აღარ მომცემს და ხელში კი ჩემი ბარათი შერჩება.


ОТКРЫТА ПОДПИСКА НА

## „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

НА 1897 ГОДЪ

(четырнадцатый годъ изданія).

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

**съ доставкой и пересылкой:**

| | | | |
|---|---|---|---|
| На 12 мѣсяцевъ . . . . . | 10 р.—к. | „ 2 „ . . . . . . . | 2 „ 75 „ |
| На 6 мѣсяцевъ. . . . . . . | 6 р.—к | „ 1 „ . . . . . . . | 1 „ 50 “ |
| „ 3 „ . . . . . . . . | 3 „ 50 „ | | |

За границу: на годъ—**17** р., на полгода—**9** р., на три мѣсяца—**5** р. Подписка принимается не иначе, какъ считая съ І-го числа любого мѣсяца.

**Для годовыхъ подписчиковъ**, какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ І-му мая—3 р. и къ І-му сентября—2 р.

**Лица, подписавшіяся теперь на будущій годъ, получаютъ газету безплатно въ текущемъ году со дня подписки.**

Подписка принимается: въ Тифлисѣ—въ редакціи „Нов. Обозр.“, Барятинская ул., № 8; въ Баку—въ типографіи „Арорь“; въ Батумѣ—въ книжномъ агентствѣ М. И. Николадзе; въ Кутаисѣ—въ книжныхъ магазинахъ Чиладзе и Бежанейшвили.

### ОТЪ РЕДАКЦІИ:

Открывая подписку на будущій годъ, редакція «Нов. Об.» считаетъ нелишнимъ заявить, что всѣ сотрудники (за немногими исключ.), которые принимали участіе въ нашей газетѣ до сихъ поръ, примутъ участіе в ней и въ будущемъ году. Кромѣ того, намъ обѣщали сотрудничество нѣкоторые петербургскіе литераторы: Д. Н. МАМИНЪ, М. А. ПРОТОПОПОВЪ (критикъ), В. ВЕРЕСАЕВЪ (сотрудникъ «Русскаго Богатства») и др. Нашъ ЛОНДОНСКІЙ КОРРЕСПОНДЕНТЪ Л.—ВИЧЪ, временно прекратившій участіе въ „Нов. Обозр.“, въ скоромъ времени возобновитъ печатаніе у насъ своихъ политическихъ писемъ. Печатаніе СПЕЦІАЛЬНЫХЪ ТЕЛЕГРАММЪ изъ Петербурга и отчасти изъ главнѣйшихъ центровъ Закавказья будетъ продолжаться круглый годъ.

Но улучшеніе литературнаго и политическаго отдѣловъ нашей газеты не отвлечетъ насъ отъ главнѣйшей нашей задачи—отъ обсужденія МѢСТНЫХЪ, КАВКАЗСКИХЪ ВОПРОСОВЪ, стоящихъ на очереди и отъ сообщснія возможно полныхъ свѣдѣній о событіяхъ мѣстной жизни. Мы заручились постоянными корреспондентами не только въ главныхъ городахъ Кавказскаго края, но и въ нѣкоторыхъ второстепенныхъ его пунктахъ. Многое зависитъ въ данномъ случаѣ, конечно, отъ содѣйствія мѣстныхъ дѣятелей, голосъ которыхъ мы будемъ продолжать выслушивать съ особеннымъ вниманіемъ. Пользуясь ихъ сочувствіемъ, мы съ своей стороны ни минуты не будемъ забывать, что газета должна совершенствоваться съ каждымъ днемъ; мы будемъ стремиться къ тому, чтобы читающая публика получала возможно болѣе матеріала, обработаннаго и правильно освѣщеннаго, при чемъ никогда не перестанемъ руководствоваться той основной точкой зрѣнія, которая ясна для всякаго, кто внимательно слѣдитъ за нашей газетой. 6—4



ПРИНИМАЕТСЯ ПОДПИСКА НА 1897 ГОДЪ

на политическую, общественную и литературную газету

## „КАЗБЕКЪ“

(второй годъ изданія),

Выходитъ по вторникамъ, четвергамъ и воскресеньямъ, а по средамъ, пятницамъ и субботамъ (по мѣрѣ накопленія матеріала)—прибавленія, въ коихъ печатаются телеграммы, справочныя свѣдѣнія и объявленія.

**Подписная цѣна:**

| съ доставкою на домъ во Владикавказѣ: | | съ пересылкой по почтѣ иногороднымъ: | |
|---|---|---|---|
| на 12 мѣсяцевъ . . | 6 р. 00 к. | на 12 мѣсяцевъ . . | 7 р. 00 к. |
| „ 6 „ „ „ . . | 3 р. 50 „ | „ 6 „ „ . . . | 4 р. 00 „ |
| „ 3 „ „ „ . . | 2 р. 00 „ | „ 3 „ „ . . . | 2 р. 50 „ |
| „ 1 „ „ „ . . | 0 р. 75 “ | „ 1 „ „ . . . | 1 р. 00 „ |

Во избѣжаніе замедленія высылки газеты, требующей много времени на заготовленіе адресовъ, контора газеты проситъ гг. иногородныхъ подписчиковъ подписываться заблаговременно, адресуя свои требованія въ гор. Владикавказъ, въ редакцію газеты „**Казбекъ**“. (3 – 2)



# 1897 Г.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА

## „ЮРИДИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ“

**съ безплатнымъ приложеніемъ**

„Сборника рѣшеній Уголовнаго и Гражданскаго Кассаціонныхъ Департаментовъ и Общаго Собранія Правительствующаго Сената“ и „Собранія узаконеній и распоряженій Правительства“.

**Выходитъ два раза въ недѣлю: по воскресеньямъ и четвергамъ.**

БЕЗЪ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ ЦЕНЗУРЫ

Годовая подписная цѣна съ доставкою и пересылкою **СЕМЬ РУБ.**
Допускается разсрочка въ платежѣ: при подпискѣ—**4** р. и къ 1-му апрѣля—остальные—**3** руб.

(Адресъ: С.-Петергургъ, Невскій пр., д. № 59, кв. № 1).

**Программа**: Передовыя статьи.—Обзоръ постановленій отечественнаго и послѣднихъ важнѣйшихъ постановленій иностраннаго законодательствъ.—Статьи и замѣтки спеціально юридическаго содержанія.—Рисунки и иллюстраціи къ тексту статей на общемъ основаніи.—Вѣсти и слухи —Корреспонденціи.—Фельетонъ.—Рѣшенія Правительств. Сената.—Отчеты о судебныхъ засѣданіяхъ и процессахъ.—Рефераты юридическихъ ученыхъ обществъ и диспуты.—Движеніе по государственной и общественной службѣ (приказы министерствъ).—Дѣйствія правительства (собр. узак и распор. прав.).—Списки дѣлъ назначенныхъ къ слушанію въ Департаментахъ и общихъ собраніяхъ Правительствующаго Сената.—Списки лицъ, состоящихъ подъ опекою, признанныхъ несостоятельными, возстановленныхъ въ правоспособности, а также объявленія объ уничтоженныхъ довѣренностяхъ (Сенатскія объявленія).—Обзоръ юридическихъ журналовъ.—Новыя книги и отзывы о нихъ (библіографія).—Объявленія.

Вмѣстѣ съ этимъ подписчики, **внесшіе полную годовую плату за газету**, могутъ обращаться въ контору „Юридической Газеты“ за справками по дѣламъ какъ судебнымъ, такъ и административнымъ, и за разрѣшеніемъ юридическихъ вопросовъ по дѣламъ, касающимся ихъ имущественныхъ или личныхъ интересовъ. (6—1)



Администрація чугунно-литейнаго и механическаго завода

ИНЖЕНЕРОВЪ

## ЯРАЛОВА и АЛИХАНОВА

*въ Тифлисѣ*,

имѣетъ честь довести до свѣдѣнія, что съ 15 ноября с. г. на заводѣ введена новая отрасль промышленности:

## КОЛОКОЛЬНОЕ ПРОИЗВОДСТВО

Отливка колоколовъ, какъ малыхъ, такъ и самыхъ большихъ, производится *опытными*, приглашенными для этой дѣли изъ Россіи, мастерами изъ лучшихъ матеріаловъ, что даетъ возможность заводу вполнѣ гарантировать отличное качество издѣлій.

Всѣ заказы, какъ на новые колокола, такъ и на передѣлку поврежденныхъ, исполняются аккуратно и по умѣреннымъ цѣнамъ.

Съ заказами просятъ обращаться: *въ контору чугунно-литейнаго, механическаго и колокольнаго заводовъ инженеровъ Яралова и Алиханова. Тифлисъ, Александровская ул., собств. домъ, вблизи вокзала.*

თუჯის ჩამომსხმელი და სამეხანიკო ქარხანა

ინჟენერებ

## იარალოვისა და ალიხანოვისა

ტფილისში.

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 15 ნოემბრიდან ქარხანაში შემოღებულია ახალი წარმოება და კეთება

## ზარებისა

ზარებს ასხამენ ყოველ-გვარ ზომისას, პატარებიდან მოყოლებული დიდრონ საეკკლესიო ზარებამდე. ამ საქმისათვის მოწვეულია რუსეთიდან დახელოვნებული და მცოდნე ხელოსანი.

ყოველგვარ საქმეს ქარხანა დაუყოვნებლივ ასრულებს და აგრეთვე ღებულობს ზარების შეკეთებას და ხელ-ახლად ჩამოსხმას.

მსურველნი მიმართვენ ქარხნის კანტორას: ტფილისი, ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი, ვოგზალთან. (3—3).


Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 го Декабря, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია